



საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი
GEORGIAN TECHNICAL UNIVERSITY

დამტკიცებულია
 სტუ-ს აკადემიური საბჭოს
 2013 წლის 22 ივლისი
 №958 დადგენილებით
მოდირიცირებულია
 სტუ-ს აკადემიური საბჭოს 2013
 წლის 8 ოქტომბრის
 №984 დადგენილებით

ეროვნული სამოსის სპეციალისტი - 080360
National clothing specialist
პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა

- I. საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება – ეროვნული სამოსის სპეციალისტი
- II. პროფესიული განათლების საფეხური – მეოთხე
- III. მისანიჭებელი კვალიფიკაცია ეროვნული სამოსის სპეციალისტის მეოთხე საფეხურის კვალიფიკაცია
- IV. პროგრამის მოცულობა– 60 კრედიტი (1 კრედიტი - 25სთ), სულ 1500 საათი.
 აქედან:
 36 კრედიტი (900 საათი) სასწავლო კომპონენტისთვის (საკონტაქტო საათი - 435; დამოუკიდებელი - 409, შუალედური/დასკვნითი შეფასება - 56)
 24 კრედიტი (600 საათი) პრაქტიკის კომპონენტისთვის (საკონტაქტო საათი - 600)
- V. პროგრამაზე დაშვების წინაპირობა: საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად.
- VI. პროფესიული პროგრამის მიზანი:
 პროგრამის მიზანია მოამზადოს მეოთხე საფეხურის ეროვნული სამოსის სპეციალისტი, რომელსაც პროფესიულ სწავლების საფეხურის შესაბამისად შეეძლება ეროვნული სამოსის მოდელების შექმნა გარკვეული დამოუკიდებლობით, მისი ტექნოლოგიური დამუშავება და საჭირო მანქანა-დანადგარების გამოყენება.

IV

VII. სწავლის შედეგი:
მისაღწევი შედეგები შესაბამისი კომპონენტების მიხედვით:

<p>ცოდნა და გაცნობიერება</p>	<p>აქვს სფეროს ფაქტობრივ გარემოებებსა და თეორიულ საფუძველზე დამყარებული ცოდნა. აცნობიერებს პრობლემის გადაჭრის ზოგადშესაძლებლობებს.</p>	<p>იცის ქართული ნაციონალური სამოსის კერვის ტექნოლოგია. დეტალურად იცნობს ნაწარმის კონსტრუქციისა და მისი ელემენტების მახასიათებლებს, ხელისა და მანქანური გვირის ტიპების სახეებს, აცნობიერებს კერვის ტექნოლოგიაში წარმოქმნილი სხვადასხვა სახის პრობლემების გადაჭრის ტექნიკურ შესაძლებლობებს. იცნობს ეროვნული სამოსის ტრადიციულ მასალას, სილუეტის, დეკორისა და ფერთა შეხამების თავისებურებებს. აცნობიერებს ტექნიკური თუ მასალის სახეობებთან დაკავშირებული პრობლემების გადაჭრის შესაძლებლობებს.</p>
-------------------------------------	--	--

<p>ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი</p>	<p>შეუძლია სამუშაოს დაგეგმვისა და შესრულების პროცესში გამოიყენოს სანდო ინფორმაციის წყაროები. შეიმუშავოს სტრატეგია წამოჭრილი სპეციფიური ამოცანის გადასაჭრელად. შეაფასოს მიღებული შედეგები. შესრულებული სამუშაოს გაუმჯობესების მიზნით.</p>	<p>შეუძლია ქართული ნაციონალური სამოსის და დამუშავების ძირითადი პრინციპებისა და ტრადიციული კერვის ტექნოლოგიების გამოყენებით მაღალესთეტიური და ხარისხიანი ნაწარმის შესრულება. შეუძლია სამუშაოს დაგეგმვისა და ეროვნული სამოსის ასორტიმენტის მასალაში შესრულების პროცესში გამოიყენოს სანდო ინფორმაციის წყაროები, შეიმუშავოს სტრატეგია წამოჭრილი შესასრულებელი ამოცანის გადასაჭრელად და შეაფასოს მიღებული შედეგები სამუშაოს გაუმჯობესების მიზნით; კერძოდ, შეუძლია დამოუკიდებლად შეადგინოს ნაწარმის კერვის ტექნოლოგიური თანამიმდევრობა, გაითვალისწინოს დამუშავების თავისებურებანი; შეუძლია შერჩეული დამუშავების მეთოდით სხვადასხვა ასორტიმენტის ნიმუშის დამზადება, სპეციფიკური მახასიათებლების სწორი ტექნიკური შესრულება. შეუძლია ნაწარმის ხარისხის შეფასება და სამუშაო პროცესში დაგროვილი გამოცდილების გონივრულად გამოყენება ხარისხის გაუმჯობესების მიზნით. შეუძლია აგრეთვე, სამუზეუმო ექსპონატების ასლის შესრულება.</p>
<p>დასკვნის გაკეთების უნარი</p>	<p>შეუძლია სპეციფიური პრობლემის გადასაწყვეტად შესაბამისი მიდგომის შემუშავება. ალტერნატიული შესაძლებლობების განხილვა და მიღებული შედეგის ანალიზი.</p>	<p>შეუძლია ნაციონალური სამოსის ქალის ასორტიმენტული ჯგუფების კერვის ტექნოლოგიებში სპეციფიური პრობლემების გააზრება, და მათ გადასაწყვეტად შესაბამისი ინდივიდუალური მიდგომის შემუშავება, შესაბამისი ტექნიკური და ტექნოლოგიური შესაძლებლობების განხილვა, შერჩევა და მიღებული შედეგის მართებული ანალიზი.</p>
<p>კომუნიკაციის უნარი</p>	<p>შეუძლია ზეპირი და წერილობითი კომუნიკაცია პროფესიასთან დაკავშირებულ საკითხებზე, ცვალებად სიტუაციებში შეუძლია დამოუკიდებლად აითვისოს ახალი საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიები. შეუძლია უცხო ენაზე პროფესიასთან დაკავშირებული ინფორმაციის დამუშავება.</p>	<p>შეუძლია ზეპირი და წერილობითი კომუნიკაცია ეროვნული სამოსის პროფესიასთან დაკავშირებულ საკითხებზე როგორც პროფესიულ, აგრეთვე ფართო საზოგადოებასთან. არჩეული პროფესიის სპეციფიკიდან გამომდინარე, შეუძლია ეფექტური საკომუნიკაციო და საინფორმაციო ტექნოლოგიების შერჩევა, ასევე შეუძლია უცხო ენაზე არსებული სპეციალური ლიტერატურის წაკითხვა და დამუშავება, მის მიერ შესასრულებელი სამუშაოს შესაბამისად.</p>
<p>სწავლის უნარი</p>	<p>შეუძლია საკუთარი სწავლის მიმართულებების დამოუკიდებლად განსაზღვრა განჭვრეტა, თუმცა ნაწილობრივ ცვალებად ვითარებაში.</p>	<p>სწავლის პროცესში შეუძლია ცოდნის გაღრმავება, როგორც სპეციალობასთან დაკავშირებული სხვადასხვა ტიპის ინფორმაციის გაცნობის გზით, ასევე მომიჯნავე დარგების საბაზისო საფუძვლების შესწავლით; შეუძლია დამოუკიდებლად გაიაზროს პროფესიული წინსვლის პერსპექტივები და დამოუკიდებლად დაგეგმოს პროფესიული განვითარების საფეხურები.</p>

ღირებულებები	პასუხისმგებლობით ეკიდება პროფესიული საქმიანობისთვის დამახასიათებელ ღირებულებებს და ცვალებად სიტუაციებში მოქმედებს მათ შესაბამისად.	გაცნობიერებული აქვს არჩეული პროფესიული საქმიანობისათვის დამახასიათებელი სპეციფიური ნორმები და ღირებულებები, ეროვნული სამოსის აღდგენისა და დამკვიდრების მნიშვნელობა და აქტუალურობა ხალხური რეწვის ტრადიციების აღორძინებისა და დამკვიდრებისათვის თანამედროვე ყოფაში, ასევე გაცნობიერებული აქვს მისი მომავალი საქმიანობის პოპულარიზაციის მიზნით დასახული ამოცანების განხორციელების ეტაპები. ნებისმიერი სიტუაციაში იცავს ეთიკურ ნორმებს, როგორც ინდივიდუალურ, ისე კოლექტიურ საქმიანობაში.
---------------------	--	---

VIII. დასაქმების სფერო: ეროვნული სამოსის სპეციალისტი მიღებული კვალიფიკაციის მიხედვით შეიძლება დასაქმდეს შესაბამის სახელობო საწარმოებში, სამხატვროსალონებსა და კერძო სახელოსნოებში, ასევე თვითდასაქმების გზით.

IX. სწავლის შედეგების რუქა

საგნები	სასწავლო კურსის კოდი	ცოდნადა გაცნობიერება	ცოდნისპრაქტიკაში იგამოყენების უნარი	დასკვნი სუნარი	კომუნიკაციის უნარი	სწავლის უნარი	ღირებულებები
ნაციონალური სამოსის ტექნოლოგია და პრაქტიკა	TPTNC05	X				X	
ინგლისურიენა B1	ENG4P07	X	X		X		
ინფორმატიკა 1	INF1P08	X	X		X		
მეწარმეობის საფუძვლები	BAOEN05	X	X	X			
ნაციონალური სამოსის მასალათმცოდნეობა	NCMAT05	X		X			
ნაციონალური სამოსის, კონსტრუირება და პრაქტიკა	NCCON05		X			X	
ხატვა და კომპოზიცია	DRAWC05	X	X				

X. სასწავლო გეგმა I სემესტრი

	ე ო ნ ე ც პ ე	საათებისრაოდენობა	მ ც პ ე
--	---------------	-------------------	---------

საგანი			საკონტაქტოსათები					დამოუკიდებელი საათები	
			ლექცია/პრაქტიკული/სემინარი	ლაბორატორიული	სასწავლო პრაქტიკა	საწარმოო პრაქტიკა	შუალედური/დასკვნითი უფასება		
ნაციონალური სამოსის ტექნოლოგია და პრაქტიკა	TPTNC05	3 12	30		300		6/2	37	75 300
ინგლისურიენა B1	ENG4P07	5	60				6/2	57	125
ინფორმატიკა 1	INF1P08	5	60				6/2	57	125
მეწარმეობის საფუძვლები	BAOEN05	5	60				6/2	57	125
სულ I :		30	210		300		32	208	750

II სემესტრი

საგანი	სასწავლო კურსის კოდი	კრედიტებისრაოდენობა	საათებისრაოდენობა					დამოუკიდებელი საათები	სულსაათებისრაოდენობა
			საკონტაქტოსათები						
			ლექცია/პრაქტიკული/სემინარი	ლაბორატორიული	სასწავლო პრაქტიკა	საწარმოო პრაქტიკა	შუალედური/დასკვნითი უფასება		
ნაციონალური სამოსის მასალათმცოდნეობა	NCMAT05	6	75				6/2	67	150
ნაციონალური სამოსის, კონსტრუირება და პრაქტიკა	NCCON05	6 12	75			300	6/2	67	150 300
ხატვა და კომპოზიცია	DRAWC05	6	75				6/2	67	150
სულ II :		30	225			300	24	201	750
სულ		60	435		300	300	56	409	1500

შენიშვნა:

სასწავლო სემესტრი 20 კვირიანია:

15 კვირა სასწავლო პროცესისათვის, 3 კვირა შუალედური შეფასებებისათვის, 2 კვირა გამოცდისათვის და განმეორებითი გამოცდისათვის.

მე-18 კვირა III შუალედური შეფასებისათვის;

მე-19 კვირა გამოცდისათვის, მე-20 კვირა განმეორებითი გამოცდისათვის (აუცილებელი 10 დღიანი ინტერვალის დაცვით).
თითოეულ საგანში შეფასებებისათვის განკუთვნილი დრო - 8 საათი.

1. საგნებისთვის, რომელთაც აქვთ მხოლოდ თეორია (ლექცია/პრაქტიკული/ლაბორატორია) და არა აქვთ სასწავლო და საწარმოო პრაქტიკა:

I შუალედური შეფასება - 2 სთ. თეორია;

II შუალედური შეფასება - 2 სთ. თეორია;

III შუალედური შეფასება - 2 სთ. თეორია;

გამოცდა - 2 სთ. თეორია;

2. საგნებისთვის, რომელთაც აქვთ თეორია (ლექცია/პრაქტიკული/ლაბორატორია) და მხოლოდ სასწავლო ან საწარმოო პრაქტიკა:

I შუალედური შეფასება - 2 სთ. თეორია;

II შუალედური შეფასება - 2 სთ. თეორია;

III შუალედური შეფასება - 2 სთ. (1 სთ. თეორია, 1 სთ. სასწავლო ან საწარმოო პრაქტიკა);

გამოცდა - 2 სთ. (1 სთ. თეორია, 1 სთ. სასწავლო ან საწარმოო პრაქტიკა);

XI. პროფესიული სტუდენტის სასწავლო საქმიანობა (დატვირთვა)

პროფესიული სტუდენტის სასწავლო საქმიანობა (დატვირთვა) მოიცავს:

- ლექციაზე დასწრებას/სამუშაო ჯგუფში მუშაობას;
- პრაქტიკულ მეცადინეობას;
- დამოუკიდებელ მეცადინეობას;
- სასწავლო/საწარმოო პრაქტიკას;
- ტესტების ჩაბარებას;
- გამოცდების (შუალედური და დასკვნითი) ჩაბარება.

XII. პროფესიული სტუდენტის ცოდნის შეფასება

დადებით შეფასებად ჩაითვლება:

- **(A)** - ფრიადი - მაქსიმალური შეფასების 91% და მეტი;
- **(B)** - ძალიან კარგი - მაქსიმალური შეფასების 81-90%;
- **(B)** - კარგი - მაქსიმალური შეფასების 71-80%;
- **(D)** - დამაკმაყოფილებელი - მაქსიმალური შეფასების 61-70%;
- **(E)** - საკმარისი - მაქსიმალური შეფასების 51-60%;

უარყოფით შეფასებად ჩაითვლება:

- **(FX)** - ვერ ჩააბარა - მაქსიმალური შეფასების 41-50%, რაც ნიშნავს, რომ პროფესიულ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება.
- **(F)** - ჩაიჭრა - მაქსიმალური შეფასების 40% და ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ პროფესიული სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი.

მაქსიმალური შეფასება 100 ქულაა.

პროფესიული სტუდენტის მიერ მიღწეული სწავლის შედეგების ერთჯერადად - მხოლოდ დასკვნითი გამოცდის საფუძველზე შეფასება დაუშვებელია.

პროფესიულ სტუდენტს უფლება აქვს, გავიდეს დამატებით გამოცდაზე დასკვნით გამოცდაზე უარყოფითი შეფასების მიღების შემთხვევაში, არანაკლებ 10 დღეში.

შეფასების ფორმა:

- შუალედური შეფასება;
- დასკვნითი შეფასება.

შეფასების მეთოდი:

- ტესტირება;
- წერიითი დავალება;
- პრაქტიკის ანგარიში/პრეზენტაცია

(სტუდენტის ცოდნის შეფასების კრიტერიუმები იხილეთ სასწავლო კურსის სილაბუსებში და სასწავლო/საწარმოო პრაქტიკის დღიურებში (დანართი 1, დანართი 2))

XIII. სწავლების ფორმები:

თეორიული სწავლება;
 პრაქტიკული მეცადინეობა;
 სასწავლო პრაქტიკა;
 საწარმოო პრაქტიკა;
 დამოუკიდებელი სამუშაო.

სწავლის მეთოდები:

ინტერაქტიული სწავლება; ჯგუფური მუშაობა; სწავლების დედუქციური მეთოდი; ახსნაგანმარტებითი მეთოდი; წერითი მუშაობის მეთოდი; პრაქტიკული მეთოდი.

სტუდენტის ცოდნის შეფასების კრიტერიუმები იხილეთ სასწავლო კურსის სილაბუსებში.

XIV. ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებისათვის აუცილებელ ადამიანური რესურსების შესახებ

კურსი/მოდული/საგანი	სასწავლო კურსის კოდი	სახელი, გვარი	კვალიფიკაცია
მეწარმეობის საფუძვლები	BAOEN05	გიორგი მამისურაძე	ეკონომისტი
ინგლისურიენა B1	ENG4P07	ანა ვანიშვილი	ინგლისური ენის სპეციალისტი
ინფორმატიკა 1	INF1P08	ოქრომელიძე ელენე	ინჟინერ-ელექტრონიკოსი (ელექტრო-გამომთვლელი მანქანები)
ნაციონალური სამოსის ტექნოლოგია და პრაქტიკა	TPTNC05	ლიანა დევიძე	სამკერვალო ნაწარმის ტექნოლოგი
ნაციონალური სამოსის მასალათმცოდნეობა	NCMAT05	ნანი ფხაკაძე	სამკერვალო ნაწარმის ტექნოლოგი
ნაციონალური სამოსის, კონსტრუირება და პრაქტიკა	NCCON05	ლია ლურსმანაშვილი	სამკერვალო ნაწარმის ტექნოლოგი
ხატვა და კომპოზიცია	DRAWC05	ნინო გზირიშვილი	მხატვარ-მოდელიორი, აკადემიური დოქტორი

XV.

ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელებისათვის აუცილებელი მატერიალური რესურსები სშესახებ

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სტუ-ს 1 კორპუსი, პოლიგრაფიისა და მსუბუქი მრეწველობის ტექნოლოგიების დეპარტამენტის სასწავლო საწარმოო-ლაბორატორია.

XVI. საწარმოსწავლება/სასწავლო პრაქტიკა

პრაქტიკა ხორციელდება (იხ. დანართი 3).

XVII. სწავლის გაგრძელების შესაძლებლობა: საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად.

პროგრამის ხელმძღვანელი/ხელმძღვანელები

ლია კაპანაძე

ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის
სამსახურის უფროსი

მანანა მოისწრაფიშვილი

ფაკულტეტის დეკანი

ოთარ გელაშვილი

მიღებულია

მოდულირებული სახით

სატრანსპორტო და მანქანათმშენებლობის
ფაკულტეტის საბჭოს სხდომაზე
ოქმი №1, 20.09.2013წ.

ფაკულტეტის საბჭოს თავმჯდომარე

ოთარ გელაშვილი

შეთანხმებულია

სტუ-ს ხარისხის უზრუნველყოფის
სამსახურის ხელმძღვანელი გოგი ძიძიგური